6 მატჩი, 3 დამარცხება

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 31 მაისი.

“ბელარუსი” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

“დინამო” - კვასხვაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, ფიფია, ხელაძე, კალოევი (მელაშვილი), იამანიძე, დათუნაშვილი.

“ბელარუსი” - დენისენკო, რემინი, უსოტორე, რადუნსკი, ჟუკოვი, ჟურავლიოვი, მოზერი, პოგალნიკოვი, მუსტიგინი, პიშჩიკი, ხასინი (ბოროზნა).

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ სჭირდებოდათ თბილისის დინამოელებს ქულები მინსკის “ბელარუსთან” მატჩის წინ. გუნდი გათამაშების ცხრილში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იმყოფება და ამ მეტად არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევა დინამოელთათვის ახლა პირველხარისხოვანი ამოცანაა.

მაგრამ განვლო ჩემპიონატის კიდევ ერთმა, VI ტურმა და თბილისის “დინამოს” მორიგი ქულები მოემატა.. პასივში. გუნდმა ძალზე ცუდად ითამაშა მინსკში და დამარცხება განიცადა ანგარიშით 1:2, ამასთან, თბილისელებს არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ, ვინაიდან საპასუხო ბურთი “ბელარუსის” კარში გავიდა საკუთარი მცველის ფეხიდან. საერთოდ, 6 მატჩში “დინამომ” გაიტანა სულ 2 ბურთი (ორივე იამანიძემ), რაც ნათელი მაჩვენებელია გუნდის ამჟამინდელი ფორმისა.

აღნიშნულ მატჩში მინსკელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და უკვე მე-13 წუთზე გახსნეს ანგარიში. მუსტიგინი კარგად გავიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე მცველებთან ბრძოლაში და გაიტანა გოლი - 1:0.

ეს ანგარიში უცვლელი დარჩა ტაიმის ბოლომდე. შესვენების შემდეგ ზუსტად იმავე მე-13 წუთზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბოროზნა (რომელიც ხასინის ნაცვლად გამოვიდა მოედანზე) და დინამოელებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან - 2:0.

ცვლილება მოხდა თბილისელთა რიგებშიც. კალოევი შეცვალა მელაშვილმა, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია “დინამოს” თამაშის ხარისხზე: იგი კვლავ ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა.

25-ე წუთზე ერთ-ერთი შეტევისას “ბელარუსის” კართან მცველმა რადუნსკიმ კარგად ვერ მიიღო ბურთი და საკუთარ კარში ჩაჭრა იგი. მინსკელებმა ამ ანგარიშით - 2:1 მოიპოვეს გამარჯვება.

თბილისის დინამოელებმა წააგეს დუბლიორთა შეხვედრაც - 2:3.

“ლელო”, 2 ივნისი 1962 წ.